შემთხვევის მართვის მეთოდის გამოყენების დროს არსებული გამოწვევები სრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში

ანა ურმიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქ-ნი შორენა სამაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ურმიშვილი.

15/06/2023

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, მკითხველს ინფორმაცია მიაწოდოს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში შემთხვევის მართვის დროს წარმოქმნილი გამოწვევების შესახებ. შესაბამისად, ნაშრომში წარმოდგენილია ზემოხსენებულ სამსახურში დასაქმებული სპეციალისტების მოსაზრებები, ასევე განხილულია თუ რა გამოწვევებს აწყდებიან სპეციალისტები შემთხვევის მართვის პროცესში, რამდენად შეესაბამება არსებული რესურსები ბენეფიციარების საჭიროებებს, განვითარების რა ფაზები განვლო შემთხვევის მართვის პროცესმა. წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი გამოწვევები.

საკვლევი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი, კონკრეტულად კი სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის მეთოდად გამოყენებულია მიზნობრივი შერჩევა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა მიმართულებით მომუშავე სხვადასხვა თანამშრომელი. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია არაერთი სამეცნიერო ლიტერატურა დანაშაულის თეორიების, ცვლილებების თეორიის, შემთხვევის მართვის, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის, პრობაციის, სოციალური მუშაკის როლის, სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების ირგვლივ.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდგომი ძირითადი გამოწვევები: სერვისების სიმწირე, ინფრასტრუქტურის საკითხები, კადრების სიმცირე, პროფესიული გადაწვა, შემთხვევების დიდი რაოდენობა, ჯგუფური ინტერვენციის განხორციელების სირთულეები, მულტიგუნდური პრინციპის დაცვის სირთულე, მსჯავრდებულთა წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება წესებისა და სპეციალისტებისადმი, ბენეფიციარების არასაკმარისი ინფორმირებულობა, სარეაბილიტაციო პროგრამების შესაბამისობა და ინდივიდუალური ტრენინგ-მოდულების არ არსებობა, რეგიონებს

შორის სპეციალისტების არაეფექტური გადანაწილება, RNA შეფასების ინსტრუმენტის ადეკვატური გამოყენება და ინტერვენციის დაგეგმვა, უწყვეტი პროფესიული ზრდა.

საკვანძო ტერმინები: მსჯავრდებული, შემთხვევის მართვა, რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, დანაშაული, პრობაცია

Abstract

This paper aims to provide the reader with information about crime prevention, the challenges that arose in the enforcement of non-custodial sentences, and case management in the National Probation Agency. Therefore, the dissertation illustrates the opinions of the specialists, as well as discusses the challenges they face in the case management process, likewise, critically review the correspondence of the resources to the needs of the beneficiaries, and analyses the development process of the case management process. Moreover, the paper provides recommendations on the challenges identified in the research.

Due to the specific nature of the research question, a qualitative research method was used, respectively an in-depth interview, whereas targeted sampling was chosen as a research method. Furthermore, the target group represents various employees of the National Agency for Crime Prevention, Enforcement of Non-custodial Sentences and Probation, specifically specialized in working with adult probationers. In addition, the paper discusses a number of academic literature based on theories of crime and changes, case management, resocialization, and rehabilitation, as well as examines the role of social workers and international practice.

Additionally, based on the paper key challenges were identified, such as a lack of services, infrastructure issues, shortage of staff, professional burnout, a large number of cases, difficulties in the implementation, process of group interventions, and multi-team principle. Besides, challenges encompass contradictory attitudes of probationers to the rules and specialists, insufficient awareness of beneficiaries, lack of compliance of rehabilitation programs and individual training modules, likewise inefficient distribution of professionals in regions, adequate use of RNA evaluation tool and continuous professional growth.

Key words: Convict, case management, resocialization-rehabilitation, crime, probation

მადლობა

მადლობას ვუხდი ნაშრომის ხელმძღვანელს, ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს, რომელიც, წერის პროცესში, მუდმივად მაძლევდა რეკომენდაციებს. გარდა ამისა, დამსახურებულ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს, პრობაციის ოფიცრებს, პროფესიულ ზედამხედველებს, სარეაბილიტაციო პროექტების კოორდინატორს, თბილისის პრობაციის ბიუროს უფროს, მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის უფროსსა და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელმაც შესაძლებლობა მომცა, ჩამეტარებინა კვლევა აღნიშნული საკითხის ირგვლივ.